ნიკო ქელბაქიანი

ირანის ხალხის მუჯაჰიდების ორგანიზაციის ცვალებადი იდეოლოგია

რეზიუმე

ირანის ხალხის მუჯაჰიდების ორგანიზაცია 1960-იან წლებში ისლამური მარქსიზმის იდეებზე დაფუძნდა და ერთ-ერთი ის იშვიათი პოლიტიკური პარტიაა, რომელიც 1979 წლის ირანის რევოლუციამდე დაარსდა და დღემდე აქტიურად მოქმედებს. თუმცა ამ პოლიტიკურმა ორგანიზაციამ მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა როგორც საკუთარ იდეოლოგიაში, ისე პოლიტიკური მოკავშირეების სიაში, და თუკი თავდაპირველად ხალხის მუჯაჰიდები აქტიურად ებრძოდნენ ირანში ამერიკულ და დასავლურ ინტერესებსაც, დღეს მათ მრავალ ამერიკელ და დასავლელ პოლიტიკოსთან აქვთ კავშირი ირანის ისლამურ რესპუბლიკასთან საბრძოლველად.

ცვლილებები ხალხის მუჯაჰიდების იდეოლოგიასა და საქმიანობაში შეიძლება აიხსნას რეპრესიებით ორგანიზაციის წინააღმდეგ როგორც შაჰის პერიოდში, ისე ისლამური რესპუბლიკის მიერ, რომლებმაც ორგანიზაციის ათასობით წევრი შეიწირა; ორგანიზაციის მმართველობის მასუდ რაჯავისა და შემდგომ მისი მეუღლის მარიამ რაჯავის ხელში მოქცევით და გეოპოლიტიკური ცვლილებებით, რომლებმაც დრამატულად გადაასხვაფერა ორგანიზაციის მოკავშირეთა სია.

საკვანძო სიტყვები: *ირანის ხალხის მუჯაჰიდების ორგანიზაცია; ირანის ისლამური რესპუბლიკა; ისლამური მარქსიზმი; 1979 წლის რევოლუცია; აშშ-ირანის ურთიერთობები*

ირანის ხალხის მუჯაჰიდების ორგანიზაცია[1] ერთ-ერთი ის იშვიათი პოლიტიკური ორგანიზაციაა, რომელიც 1979 წლის ირანის რევოლუციამდე დაარსდა და დღემდე აქტიურად მოქმედებს. თუმცა თითქმის 60-წლიანი ისტორიის განმავლობაში ამ პოლიტიკურმა ჯგუფმა მრავალი ცვლილება განიცადა როგორც საკუთარ იდეოლოგიაში, ისე პოლიტიკური მოკავშირეების სიაში. ამავდროულად ხალხის მუჯაჰიდების ორგანიზაცია მეტნაკლებად ერთგული დარჩა საკუთარი ძირითადი პოლიტიკური მიზნისადმი, რომელიცაა ირანის მმართველი რეჟიმის დამხობა, იქნებოდა ეს შაჰის ხელისუფლება თუ ისლამური რესპუბლიკა.

ცვლილებები ხალხის მუჯაჰიდების იდეოლოგიასა და საქმიანობაში შეიძლება აიხსნას რეპრესიებით ორგანიზაციის წინააღმდეგ როგორც შაჰის პერიოდში, ისე ისლამური რესპუბლიკის მიერ, რომლებმაც ჯგუფის ათასობით წევრი შეიწირა, ორგანიზაციის მმართველობის მასუდ რაჯავისა და შემდგომ მისი მეუღლის მარიამ რაჯავის ხელში მოქცევით და გეოპოლიტიკური ცვლილებებით, რომლებმაც დრამატულად გადაასხვაფერა ორგანიზაციის მოკავშირეთა სია.

ხალხის მუჯაჰიდების ორგანიზაცია 1960-იან წლებში დაარსდა და იდეოლოგიურად ისლამური მარქსიზმის ნიშნებს შეიცავდა. 1970-იან წლებში იგი აქტიურად ებრძოდა შაჰის ხელისუფლებას და ირანში ამერიკულ ინტერესებსაც, რის ფარგლებშიც თავს ესხმოდნენ ამერიკულ სამხედრო და კომერციულ წარმომადგენლობებს. დამაარსებელთა დიდი ნაწილი შაჰის რეპრესიებს ემსხვერპლა და 1970-იანი წლების ბოლოს მასუდ რაჯავი ნელ-ნელა ორგანიზაციას ერთპიროვნულად ჩაუდგა სათავეში. ხალხის მუჯაჰიდები ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული ორგანიზაცია გახდა 1979 წლის

[1] სპარს. საზმან-ე მოჯაჰედინ-ე ხალყ-ე ირან. ინგლისურად მოიხსენიებენ, როგორც People's Mojahedin Organization of Iran (PMOI), Mojahedin-e Khalq (MEK) ან Mojahedin-e Khalq Organization (MKO).

რევოლუციის დროს, ხოლო მათი გასამხედროებული ჯგუფები პირდაპირ იყვნენ ჩართული ქუჩის ბრძოლებში, რომლებმაც 1979 წლის თებერვალში შაჰისადმი ლოიალური ჯგუფები დაამარცხეს.

მიუხედავად იმისა, რომ ეს ორგანიზაცია თავდაპირველად მხარს უჭერდა აიათოლა რუჰოლა ხომეინის, რომელიც რევოლუციის ლიდერი და შემდეგ ისლამური რესპუბლიკის დამაარსებელი ხდება, მალევე ხალხის მუჯაჰიდები დაუპირისპირდნენ ხომეინის და ქვეყნის კლერიკალურ ხელმძღვანელობას. 1981 წელს, პირველი პრეზიდენტის, აბოლჰასან ბანისადრის, იმპიჩმენტთან ერთად, ხალხის მუჯაჰიდებსა და ხელისუფლების ძალებს შორის შეიარაღებული შეტაკებები დაიწყო და რეპრესიებს ორგანიზაციის უამრავი წევრი შეეწირა.

ამ პერიოდიდან ხალხის მუჯაჰიდების ორგანიზაცია ქვეყნიდან დევნილი ორგანიზაცია გახდა. თავდაპირველად, ორგანიზაციამ რაჯავის ხელმძღვანელობით კოალიცია შეკრა ბანისადრთან და რამდენიმე ოპოზიციურ დაჯგუფებასთან ერთად, რომელსაც ირანის ეროვნული წინააღმდეგობის საბჭო დაერქვა. თუმცა კოალიცია რამდენიმე წელიწადში აზრთა სხვადასხვაობის გამო დაიშალა და ხალხის მუჯაჰიდებმა ერაყში, სადამ ჰუსეინის მფარველობის ქვეშ, გადაინაცვლეს, რომელიც მაშინ ირანის წინააღმდეგ ომში იყო ჩაბმული. ომში ერაყის მხარეს ხალხის მუჯაჰიდების ორგანიზაციაც ჩაერთო, რაც ისლამური რესპუბლიკის წინააღმდეგ განწყობილ ირანელებშიც უარყოფითად იყო აღქმული.

ერაყში დაბანაკებული ხალხის მუჯაჰიდები კვლავაც ანტიდასავლურ ბანაკში აღმოჩნდნენ და 1990-იან წლებში ჰუსეინის ხელისუფლებას აჯანყებების ჩახშობაში ეხმარებოდნენ. ორგანიზაცია აშშ-მა და ევროკავშირმა ტერორისტულ ჯგუფად გამოაცხადეს, ხოლო 2003 წელს აშშ-ის ერაყში ინტერვენციის შედეგად ხალხის მუჯაჰიდები კვლავ მტრულ გარემოში აღმოჩნდნენ. ერაყში მყოფი წევრები ფაქტობრივ ტყვეობაში იყვნენ, ხოლო ქვეყნის ახალი მთავრობა მათ ქვეყნიდან გაძევებას მოითხოვდა. ინტერვენციის დროსვე გაუჩინარდა მასუდ რაჯავი, რომლის გარდაცვალებასაც ორგანიზაცია დღემდე არ აღიარებს.

საბოლოო ჯამში, ხალხის მუჯაჰიდები ტერორისტული ორგანიზაციების სიიდან ამოიღეს, ხოლო აშშ-მა მოლაპარაკებები აწარმოა ალბანეთის მთავრობასთან, რომ ორგანიზაცია თავის ქვეყანაში მიეღოთ. ერაყში მყოფი ხალხის მუჯაჰიდები ალბანეთში 2013-2016 წლებში გადაბარგდნენ და დედაქალაქ ტირანასთან დაბანაკდნენ. ბოლო წლებში ორგანიზაციას ახლო ურთიერთობები ჩამოუყალიბდა დასავლურ მემარჯვენე პოლიტიკურ ჯგუფებთან, განსაკუთრებით კი ამერიკელ რესპუბლიკელებთან, რომლებიც ირანის ისლამური რესპუბლიკის წინააღმდეგ ხისტ პოლიტიკას უჭერენ მხარს. ხალხის მუჯაჰიდები, რომლებიც 1970-იან წლებში ამერიკელებზე თავდასხმებს აწყობდნენ და 1990-იან წლებში აშშ-ს ტერორისტული ორგანიზაციების სიაში ჰყავდა შეყვანილი, უკანასკნელ ხანებში ამერიკელ „ქორ“ პოლიტიკოსებს, განსაკუთრებით კი პრეზიდენტ დონალდ ტრამპის ადმინისტრაციის (2017-2021) წევრებს, დაუახლოვდნენ.

ირანის ხალხის მუჯაჰიდების ორგანიზაციის იდეოლოგიისა და პოლიტიკური ვექტორების რადიკალური და დრამატული ცვლილებების ახსნა სამ ნაწილად შეიძლება დაიყოს. პირველ რიგში, ხალხის მუჯაჰიდები, რომლებიც პოლიტიკური აქტივისტის ჯგუფმა დააარსა, მასუდ რაჯავიმ ერთპიროვნული მმართველობის ორგანიზაციად გარდაქმნა, რომელიც მისი მარიამ რაჯავის მმართველობის პირობებში ხშირად „კულტადაც“ ხასიათდება. მეორე რიგში, ორგანიზაციამ პოლიტიკური ვექტორებიც რამდენჯერმე შეცვალა დრამატულად, რაც გამოიხატა მათი საგარეო პოლიტიკური მოკავშირეების რადიკალურ ცვლილებაში. საბოლოოდ კი, ხალხის მუჯაჰიდებისთვის ეს ცვლილებები მიმართული იყო და არის მათი ძირითადი მიზნისთვის, ისლამურ რესპუბლიკასთან ბრძოლისთვის, რათა უფრო ეფექტურად მოახერხონ ირანზე საგარეო ზეწოლის შენარჩუნება. პოლიტიკური აქტუალურობის შენარჩუნებაში კი მათ ისლამური რესპუბლიკაც ეხმარება, რადგანაც ხალხის მუჯაჰიდების სახელს მუდმივად იყენებენ პოლიტიკურ მოწინააღდეგეებთან საბრძოლველად.

ირანის ხალხის მუჯაჰიდების ორგანიზაციის სათავეებთან

ისტორიკოსი ერვანდ აბრაჰამიანი 1979 წლის რევოლუციაში მონაწილე პოლიტიკურ მოძრაობებს ექვს ჯგუფად ყოფს: კლერიკალი პოპულისტები, კლერიკალი ლიბერალები, საერო-რელიგიური პოპულისტები, საერო-რელიგიური რადიკალები, სეკულარი ლიბერალები და სეკულარი რადიკალები.[2] კლერიკალ პოპულისტებს მიეკუთვნებოდნენ აიათოლა რუჰოლა ხომეინი და მისი მიმდევარი შიიტი სასულიერო პირები, რომლებმაც საბოლოო ჯამში მოიპოვეს კიდევაც ძალაუფლება. ხალხის მუჯაჰიდები, აბრაჰამიანის მიხედვით, საერო-რელიგიურ რადიკალებს მიეკუთვნებოდნენ[3], რომლებიც რელიგიური, კერძოდ კი შიიტური ისლამის, გავლენების მქონდე საერო რევოლუციონერები იყვნენ და ანტიიმპერიალისტურად, ანტიკაპიტალისტურად და ზოგჯერ ანტიკლერიკალურადაც იყვნენ განწყობილი.

აბრაჰამიანის თქმით[4], საერო-რელიგიური რადიკალები ტრადიციული საშუალო კლასის ოჯახების შვილები იყვნენ, რომლებმაც თანამედროვე განათლება მიიღეს და თვლიდნენ, რომ ისლამის ჭეშმარიტი ინტერპრეტაცია თანამედროვე მოაზროვნეები და ინტელიგენცია იყვნენ და არა სამღვდელოება. ამ ჯგუფების რევოლუციონერობა კი იმაში გამოიხატებოდა, რომ მათი მიზანი ძალაუფლების ძველი საყრდენების, განსაკუთრებით კი არმიის, ამოძირკვა, დოვლათის რადიკალური გადანაწილება და უკლასო საზოგადოების ჩამოყალიბება იყო.

ხალხის მუჯაჰიდების ისლამური მარქსისტული იდეოლოგია ახლოს იყო ირანელი რევოლუციონერი მოაზროვნის, ალი შარიათის (1933-1977), თეორიებთან. შარიათი ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული საერო ინტელექტუალი იყო 1960-70-იან წლებში, რომელიც სათავეში ედგა შიიზმის მოდერნიზებას და ახლებურ ინტერპრეტაციებს. მისი იდეები ეფუძნებოდა როგორც მუსლიმ მოდერნისტებს, ისე დასავლელ მოაზროვნეებს, იქნებოდა ეს კარლ მარქსი და მაქს ვებერი თუ მისი თანამედროვე ფრანც ფანონი. შარიათი იზიარებდა ანტიიმპერიალისტურ იდეებს, რომლის მიხედვითაც დასავლეთი კოლონიალიზმის სიმბოლო იყო, თუმცა ბრძოლის ხერხად რადიკალური დასავლური იდეოლოგიების ნაცვლად ისლამს, ირანის შემთხვევაში კი შიიტურ ისლამს აღიარებდა.[5]

შარიათი ასევე უპირისპირებდა „ნამდვილ ისლამს“ ისლამურ სამღვდელოებას, რომელიც, მისი აზრით, მუდმივად ცდილობდა ინსტიტუციონალიზებული ფორმების შენარჩუნებას, მაშინ როდესაც რეალური რელიგია ჩაგრულთა სამსახურშია.[6] შარიათი თავს მუსლიმ მარქსისტს არ უწოდებდა, თუმცა აღიარებდა ბევრ მარქსისტულ იდეას და მარქსიზმთან ერთგვარი პოლემიკური დამოკიდებულება ჰქონდა. სწორედ ამიტომაც მის თეორიებს და ხალხის მუჯაჰიდების თავდაპირველ იდეოლოგიას, რომელიც შარიათის თეორიებთან ახლოს იყო, ისლამურ მარქსიზმად მოიხსენიებენ. თუმცა ნაადრევი სიკვდილის გამო შარიათის 1979 წლის რევოლუციაში მონაწილეობა არ დასცალდა. ამასთანავე, შარიათი დამოუკიდებელ ფიგურად ითვლება და ძნელი სათქმელია, რამდენად პირდაპირი პოლიტიკური კავშირები ჰქონდა მას ხალხის მუჯაჰიდებთან, გარდა იდეოლოგიური სიახლოვისა.

თავად ირანის ხალხის მუჯაჰიდების ორგანიზაცია 1965 წელს დააარსა თეირანის უნივერსიტეტის ექვსმა კურსდამთავრებულმა: მოჰამად ჰანიფნეჟადმა, ალი ასყარ ბადიზადეგანმა, საიდ მოჰსენმა, მოჰამად ასქარიზადემ, რასულ მოშქინფამმა და აჰმად რეზაიმ.[7] ისინი მანამდე თავისუფლების მოძრაობის წევრები იყვნენ, რომელიც მეჰდი ბაზარგანის პარტია იყო. აბრაჰამიანი

---

[2] Abrahamian, Ervand. *Radical Islam: The Iranian Mojahedin*. London: Tauris, 1989, 42.

[3] *Ibid,* 46

[4] *Ibid,* 46.

[5] *Ibid,* 105.

[6] *Ibid,* 112.

[7] Abrahamian, Ervand. *Iran between Two Revolutions*. Princeton University Press, 1982, 489.

თავისუფლების მოძრაობას საერო-რელიგიურ ლიბერალების ჯგუფში აერთიანებს, რომლებიც ისლამს თავიანთი მსოფლმხედველობის ნაწილად მიიჩნევდნენ და მიზნად ისახავდნენ სეკულარული დემოკრატიული ხელისუფლების ჩამოყალიბებას ისლამური ნიშნებით.[8] თავისუფლების მოძრაობა 1979 წლის რევოლუციის პერიოდში ხომეინის დაუახლოვდა, რომელმაც მეჰდი ბაზარგანი პრემიერმინისტრად ჯერ კიდევ შაჰის ხელისუფლების დამხობამდე დაასახელა. თუმცა ბაზარგანის მთავრობა რევოლუციის გარიჟრაჟზევე შეავიწროვა სასულიერო პირებისა და ისლამისტების მიერ ჩამოყალიბებულმა რევოლუციურმა კომიტეტებმა და სასამართლოებმა, რომლებიც ფაქტობრივად პარალელურ ხელისუფლებას წარმოადგენდნენ.[9] ბაზარგანი და მისი მთავრობა, საბოლოოდ, 1979 წლის ნოემბერში ხომეინის მომხრე სტუდენტების მიერ აშშ-ის საელჩოს აღებისა და დიპლომატების მძევლად აყვანის შემდეგ გადადგნენ.[10]

1965 წელსვე ჰანიფნეჟადი და ხალხის მუჯაჰიდების სხვა დამაარსებლები თვლიდნენ, რომ თავისუფლების მოძრაობა საკმარისად რადიკალური არ იყო და ამიტომაც გამოეყვნენ მას.[11] აღსანიშნავია, რომ ხალხის მუჯაჰიდების ორგანიზაცია მანამდე დაარსდა, ვიდრე შარიათი ჰოსეინიე ერშადში, საიდანაც მისი იდეები პოპულარული გახდა, სწავლებას დაიწყებდა. აბრაჰამიანის თქმით[12], ჰანიფნეჟადი და რეზაი, რომელიც ჯგუფის მთავარი ინტელექტუალი იყო, ალი შარიათის თეორიების მსგავს დასკვნებამდე მივიდნენ. აბრაჰამიანის აზრით[13], რამდენადაც რთულია შარიათისა და ხალხის მუჯაჰიდებს შორის ზუსტი კავშირის დადგენა, აშკარა იყო, რომ შარიათის ნაშრომები შიიზმის რევოლუციურ ბუნებაზე არაპირდაპირ დაეხმარა ამ ორგანიზაციას.

ხალხის მუჯაჰიდების პირველი მნიშვნელოვანი თეორიული ნაშრომი სწორედ რეზაიმ დაწერა, რომელსაც „ჰუსეინის მოძრაობა“ ერქვა.[14] იმამი ჰუსეინი ერთ-ერთი ცენტრალური ფიგურაა შიიტურ ისლამში. იგი იყო ალის ვაჟი და მუჰამედ წინასწარმეტყველის შვილიშვილი, რომელიც 680 წელს აუჯანყდა ხალიფა იაზიდს და ქერბალის ბრძოლაში დამარცხდა და დაიღუპა. მისი სიკვდილი ერთ-ერთ მთავარ ისტორიულ უსამართლობად ითვლება შიიტურ ისლამში, რადგანაც შიიტების რწმენით სწორედ ჰუსეინი უნდა ყოფილიყო ისლამური თემის წინამძღოლი. რეზაიმ ჰუსეინის აჯანყება მონათლა ამბოხად უზურპატორი ხალიფების, ფეოდალი მიწათმფლობელებისა და ვაჭარი კაპიტალისტების წინააღმდეგ, რომლებმაც მუჰამედის დაწესებულ ერთღმერთიან წესრიგს გადაუხვიეს.[15] რეზაისთვის და ხალხის მუჯაჰიდებისთვის კი ეს ბრძოლა გრძელდებოდა და მათაც ჰუსეინის მსგავსად უნდა ებრძოლათ მჩაგვრელთა წინააღმდეგ.

თუმცა იდეოლოგიური ცვლილებები ორგანიზაციაში 1970-იან წლებშივე დაიწყო, რომლებიც ჯგუფი ლიდერობის ცვლილებებს, უფრო სწორად კი განადგურებას, მიუყვებოდა. 1971 წელს ხალხის მუჯაჰიდებმა, რომლებიც უკვე მრავალი წევრი ჰყავდა, შეიარაღებული დაპირისპირება წამოიწყო შაჰის, მოჰამად რეზა ფეჰლევის, წინააღმდეგ, რასაც შაჰის ხელისუფლებამ მკაცრი რეპრესიები დაუპირისპირა.[16] რეპრესიებსა და ქუჩის ბრძოლებს 1970-იანი წლების დასაწყისში, ფაქტობრივად, ორგანიზაციის ყველა დამაარსებელი და თავდაპირველი ხელმძღვანელობა შეეწირა,

---

[8] Abrahamian, *Radical Islam: The Iranian Mojahedin,* 46.

[9] Ibid, 47.

[10] სანიკიძე, გიორგი, ალასანია, გიული, და გელოვანი, ნანი. ახლო აღმოსავლეთის ისტორია და მისი ურთიერთობების სამხრეთ კავკასიასთან (XIX ს. – XXI ს.-ის დასაწყისი), ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2011, 321.

[11] Abrahamian, *Radical Islam: The Iranian Mojahedin,* 85.

[12] *Ibid,* 103.

[13] *Ibid,* 103.

[14] Abrahamian, Ervand. *Iran between Two Revolutions,* 490.

[15] *Ibid,* 491.

[16] Abrahamian, *Radical Islam: The Iranian Mojahedin,* 128.

მათ შორის ჰანიფნეჟადიც, რომელიც 1972 წელს დასაჯეს სიკვდილით.[17] მასუდ რაჯავი, რომელიც უკვე ჯგუფის წევრი იყო, ასევე დააპატიმრეს, მაგრამ სიკვდილით დასჯას გადაურჩა თავისი ძმის, შვეიცარიაში მომუშავე ადვოკატის, ქაზემ რაჯავის, დახმარებით[18] და მხოლოდ 1979 წლის რევოლუციამდე ცოტა ხნით ადრე გამოუშვეს ციხიდან.[19]

თავდაპირველი ხელმძღვანელობის განადგურების შემდეგ თანდათანობით ჯგუფის ლიდერობა ორგანიზაციის მარქსისტულმა ფრთამ ჩაიგდო ხელში. მიუხედავად 1971-72 წლების რეპრესიებისა, ორგანიზაცია არ განადგურებულა და მრავალი ახალი წევრის მოზიდვა მოახერხა. ამ პერიოდშივე ჯგუფმა გააძლიერა და გაახშირა თავდასხმები როგორც შაჰის ხელისუფლებისა და სამხედრო პირებზე და ორგანოებზე, ასევე ამერიკულ სამხედრო თუ კომერციულ წარმომადგენლობებზე.[20] 1975 წელს ხალხის მუჯაჰიდების ორგანიზაციაში სქიზმა მოხდა, როდესაც მმართველობაში მოსულმა მარქსისტულმა ფრთამ ანტიისლამური ტრაქტატი გამოაქვეყნა, რომელშიც ისლამი მარქსიზმ-ლენინიზმის სანაცვლოდ უკუაგდო. ტრაქტატი ამტკიცებდა, რომ ისლამი „ხალხის ოპიუმი“ და „წვრილბურჟუაზიული უტოპიური იდეოლოგია“ იყო, ხოლო მარქსიზმ-ლენინიზმი - „მუშათა კლასის ჭეშმარიტი მეცნიერული ფილოსოფია“.[21]

ორგანიზაციის ასეთ იდეოლოგიურ ცვლილებას ისლამისტი ხალხის მუჯაჰიდები კეთილგანწყობილად არ შეხვედრიან და 1975 წლიდან რევოლუციამდე, რეალურად, ხალხის მუჯაჰიდების ორი ფრთა ერთი და იმავე სახელით მოქმედებდა. საინტერესოა, რომ მარქსისტულმა ფრთამ, საბოლოო ჯამში, არ შეინარჩუნა სახელი. 1978 წელს მათ ირანის ხალხის მუჯაჰიდების ორგანიზაციის მარქსისტ-ლენინისტური ფრთა დაირქვეს, ხოლო რევოლუციის პერიოდში მაოისტ ჯგუფებთან ერთად გაერთიანდნენ და დააარსეს მუშათა კლასის განმათავისუფლებელი საბრძოლო ორგანიზაცია.[22][23]

აღსანიშნავია, რომ ხალხის მუჯაჰიდების მარქსისტულ ფრთას გაერთიანების შესახებ მოლაპარაკებები ჰქონდა ირანის ხალხის ფედაების (თავდადებულთა) ორგანიზაციასთან, რომელიც ხალხის მუჯაჰიდებთან ერთად 1970-იანი წლების ერთ-ერთ უდიდეს პარტიზანულ ორგანიზაციას წარმოადგენდა. ფედაები, რომლებსაც აბრაჰამიანი სეკულარი რადიკალების ჯგუფში მოიაზრებს[24], ასევე მარქსისტულ-ლენინისტური იდეოლოგიის მიმდევრები იყვნენ, თუმცა მათი გაერთიანება მარქსისტ მუჯაჰიდებთან ვერ მოხდა, რადგან მუჯაჰიდები ფედაებს, რომლებსაც სიმპათიები განსაკუთრებით კუბური სოციალიზმის მიმართ ჰქონდათ, საბჭოთა იმპერიალიზმის მხარდაჭერას აბრალებდნენ.[25]

რევოლუციური ორგანიზაციიდან რაჯავების „კულტამდე“

1979 წლის რევოლუციამდე ცოტა ხნით ადრე, ციხიდან გამოვიდა მასუდ რაჯავი, რომელიც კვლავ მოექცა ისლამისტი ხალხის მუჯაჰიდების სათავეში და ჯგუფის ეფექტური რეორგანიზაცია მოახდინა. 1979 წლის იანვარსა და თებერვალში მუჯაჰიდები და ფედაები პირდაპირ იყვნენ ჩართული ქუჩის ბრძოლებში შაჰისადმი ლოიალურად განწყობილ ძალებთან და მოახერხეს კიდეც მათი დამარცხება, რითაც ამ ორგანიზაციების პოლიტიკური გავლენა რევოლუციის პირველ ხანებში

---

[17] *Ibid,* 131.
[18] *Ibid,* 135.
[19] *Ibid,* 170.
[20] *Ibid,* 140.
[21] *Ibid,* 145.
[22] სპარს. საზმან-ე ფეიქარ დარ რაჰ-ე აზადი-ე თაბაყე-იე ქარგარ, შემოკლებით ფეიქარი
[23] *Ibid,* 146.
[24] *Ibid,* 47.
[25] Abrahamian, Ervand. *Iran between Two Revolutions,* 495

კიდევ უფრო გაიზარდა, მით უმეტეს, რომ გასამხედროებულ პარტიზანულ დაჯგუფებებსაც ფლობდნენ.

მომდევნო ორი წლის განმავლობაში ხალხის მუჯაჰიდები ქვეყნის პოლიტიკურ არენაზე აქტიურად იყვნენ წარმოდგენილი, ხოლო რაჯავი მათი გამოკვეთილი ლიდერი იყო. თუმცა პოლიტიკური აქტიურობა და წევრების შემომატება საარჩევნო წარმატებაში არ გადაზრდილა, რადგანაც რეალურ ძალაუფლებას ხომეინის მიერ მხარდაჭერილი კლერიკალური ისტებლიშმენტი იკრებდა. ხალხის მუჯაჰიდები მალევე დაუპირისპირდნენ ხელისუფლებას და არც კონსტიტუციურ რეფერენდუმში მიიღეს მონაწილეობა 1979 წლის დეკემბერში.[26] სანაცვლოდ, არც რაჯავის მისცა ხომეინიმ 1980 წლის იანვრის საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობის უფლება.[27]

სამაგიეროდ, რაჯავი დაუახლოვდა ამ არჩევნების გამარჯვებულს, აბოლჰასან ბანისადრს, მას შემდეგ რაც ბანისადრსაც გაუჩნდა პრობლემები ხომეინის მომხრე კლერიკალურ ისტებლიშმენტთან, მათ ისლამურ რესპუბლიკურ პარტიასთან და ისლამური რევოლუციის გუშაგთა კორპუსთან, რომელიც ხომეინიმ ფაქტობრივად პარალელურ არმიად ჩამოაყალიბა. პარალელურ ხელისუფლებებს შორის დაპირისპირებაში ბანისადრი დამარცხდა და პარლამენტმა მას 1981 წლის ივნისში იმპიჩმენტი გამოუცხადა, მეორე დღეს კი ხალხის მუჯაჰიდებმა ისლამური რესპუბლიკის წინააღმდეგ შეიარაღებული დაპირისპირება წამოიწყეს.[28]

1981-1982 წლებში ამ დაპირისპირებას, რომელიც შეიძლება მცირე მასშტაბის სამოქალაქო ომად შეიძლება შეფასდეს, ხალხის მუჯაჰიდების ათასობით წევრი შეეწირა. ბევრი მათგანი ქუჩის ბრძოლებში დაიღუპა, სიკდვილით დასაჯეს ან დააპატიმრეს, თუმცა დაპატიმრებულთა დიდი ნაწილი შემდეგ 1988 წლის სიკვდილით დასჯის კამპანიას შეეწირა. 1982 წლის თებერვალში შეტაკებაში დაიღუპა რაჯავის პირველი ცოლი აშრაფ რაბიიც[29], რომლის სახელიც, აშრაფი, ხალხის მუჯაჰიდების ბანაკებს დაერქვა ერაყსა და ალბანეთში.[30]

თავად რაჯავიმ ბანისადრთან ერთად დატოვა ქვეყანა 1981 წლის ზაფხულში და საფრანგეთში გადაინაცვლა, სადაც ბანისადრთან და რამდენიმე დევნილ ოპოზიციურ ჯგუფთან ერთად ირანის ეროვნული წინააღმდეგობის საბჭო ჩამოაყალიბა.[31] რაჯავიმ ამასთანავე ცოლად მოიყვანა ბანისადრის ქალიშვილი ფირუზე, რითაც კიდევ უფრო ესმება ხაზი მის პიროვნულ როლზე როგორც ხალხის მუჯაჰიდებში, ისე ამ კოალიციაში. თუმცა რამდენიმე წელიწადში, როდესაც კოალიცია დაიშალა უთანხმოების გამო, რაჯავი ფირუზე ბანისადრს გაშორდა და მარიამ აზადანლუზე დაქორწინდა, რომელიც მარიამ რაჯავი გახდა.[32]

ხალხის მუჯაჰიდებს საფრანგეთის დატოვება მოუწიათ 1986 წელს, რის შემდეგაც ისინი ერაყში გადავიდნენ, მაშინ როდესაც ირან-ერაყის ომი მიმდინარეობდა, და საომარ მოქმედებებშიც ჩაერთვნენ. ორგანიზაციის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ოპერაცია ისლამური რესპუბლიკის წინააღმდეგ იყო ოპერაცია „მარადიული სინათლე“, რომელიც ხალხის მუჯაჰიდებმა 1988 წლის ივლისში, ირანსა და ერაყს შორის ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმების შემდეგ, განახორციელეს. ოპერაცია გულისხმობდა ხალხის მუჯაჰიდების შეჭრას ირანის დასავლეთ პროვინციებში, თუმცა არასაკმარისი ერაყული საჰაერო მხარდაჭერისა და ირანის შეიარაღებული ძალების საპასუხო ოპერაცია „მერსადი“ შედეგად ოპერაცია „მარადიული სინათლე“ კრახითა და ათასზე მეტი ხალხის

---

[26] Abrahamian, *Radical Islam: The Iranian Mojahedin,* 198.

[27] *Ibid,* 199.

[28] Boroujerdi, Mehrzad. *Postrevolutionary Iran a Political Handbook*. Syracuse, NY: Syracuse University Press, 2018, 15.

[29] Ibid, 17.

[30] Masters, Jonathan. "Mujahadeen-e-Khalq (MEK)." Council on Foreign Relations. Council on Foreign Relations, July 28, 2014. https://www.cfr.org/backgrounder/mujahadeen-e-khalq-mek.

[31] Goulka, Jeremiah, Lydia Hansell, Elizabeth Wilke, and Judith Larson, The Mujahedin-e Khalq in Iraq: A Policy Conundrum. Santa Monica, CA: RAND Corporation, 2009, 58. https://www.rand.org/pubs/monographs/MG871.html.

[32] Ibid, 60.

მუჯაჰიდის სიკვდილით დასრულდა.[33] ამ ოპერაციის შემდეგ ისლამურმა რესპუბლიკამ ციხეებში პოლიტიკური პატიმრების სიკვდილით დასჯის კამპანია წამოიწყო, რომელსაც ათასობით პატიმარი შეეწირა, მათ შორის ბევრი ხალხის მუჯაჰიდების წევრიც.[34]

1981-82 წლების ქუჩის ბრძოლებმა და რეპრესიებმა და 1988 წლის წარუმატებელმა ოპერაციამ და შემდგომმა პოლიტიკური პატიმრების სიკვდილით დასჯის კამპანიამ დიდი დარტყმა მიაყენა ხალხის მუჯაჰიდების ორგანიზაციას. ორგანიზაციის წევრთა რაოდენობა შეთხელდა და განსაკუთრებით შემცირდა ხალხის მუჯაჰიდების იმ წევრების რაოდენობა, რომლებიც ჯგუფს რევოლუციამდე თუ რევოლუციის პერიოდში შეუერთდნენ. სწორედ ამან კიდევ უფრო გაამყარა მასუდ რაჯავის პოზიციები ორგანიზაციაში, რადგანაც ახალ წევრებზე მისი კონტროლი და გავლენა კიდევ უფრო გაიზარდა.

რაჯავის აღმატებული როლი ყველაზე კარგად გამოიკვეთა 1985 წელს, როდესაც მარიამ აზადანლუ მოიყვანა ცოლად და ხალხის მუჯაჰიდების თანაწინამძღოლად გამოაცხადა. რაჯავიმ ეს ნაბიჯი „იდეოლოგიური რევოლუციის“ დასაწყისად გამოაცხადა, თუმცა თვითონ ეს მოვლენა საკმაოდ წინააღმდეგობრივი იყო.[35] აზადანლუ ხალხის მუჯაჰიდების ერთ-ერთი წევრის, მეჰდი აბრიშამჩის, ცოლი იყო და რაჯავიზე დასაქორწინებლად გაშორდა ქმარს. რაც მთავარია, ხალხის მუჯაჰიდების განცხადება შეახსენებდა მკითხველებს, რომ წინასწარმეტყველმა მუჰამადმაც გამოიწვია მღელვარება, როდესაც თავისი ნაშვილები ვაჟის განქორწინებულ ცოლზე დაქორწინდა.[36] „იდეოლოგიური რევოლუცია“ ასევე გულისხმობდა ქალთა როლის წინ წამოწევას ორგანიზაციაში, თუმცა ასევე საგულისხმოა, რომ აზადანლუმ გვარიც შეიცვალა ქორწინების შემდეგ და მარიამ რაჯავი გახდა.

აბრაჰამიანის აზრით, მასუდ რაჯავის ეს ნაბიჯი ხალხის მუჯაჰიდების დანარჩენი ჯგუფებისგან იზოლაციისკენ იყო მიმართული.[37] რაჯავების ქორწინებამ უკმაყოფილება გამოიწვია ტრადიციონალისტებში, რომლებისთვისაც „ცოლების გაცვლა“ მიუღებელი იყო, ასევე სხვა რევოლუციურ ჯგუფებშიც, რომლებისთვისაც რაჯავების პომპეზური ქორწილი შაჰის ქორწილს მოაგონებდათ. ეს ნაბიჯი უარყოფითად იყო აღქმული ყოფილ წევრებშიც, თუმცა იმჟამინდელმა წევრები, მათ შორის აბრიშამჩიც, რაჯავების წინამძღოლობას მიესალმნენ. აბრიშამჩიმ რაჯავი ორგანიზაციასთანაც გააიგივა, ხოლო წევრებს მისდამი ერთგულების გამოცხადება ევალებოდათ, რაც ხალხის მუჯაჰიდებში რაჯავის პიროვნების კულტის კიდევ ერთი ნიშანი იყო.[38]

რაჯავის ერთპიროვნული მმართველობა კიდევ უფრო გამყარდა ჯგუფის ერაყში გადასვლის შემდეგ. ჯგუფმა წევრების მოსაზიდად დაიწყო იმ ირანელი სამხედროების გადაბირება, რომლებიც ერაყელთა ტყვეობაში იმყოფებოდნენ. რანდის ორგანიზაციის ანგარიშის მიხედვით[39], შემდეგ წლებში ორგანიზაცია ზრდიდა თავისი წევრების რაოდენობას ტრეფიკინგის საშუალებითაც. ირანიდან წასვლის მსურველი მიგრანტები ცრუ დაპირებებით ხალხის მუჯაჰიდების ბანაკში აღმოჩნდებოდნენ, რომელთაგან ბევრი დაშინებისა და კონტროლის სხვა მექანიზმებით ორგანიზაციაში წევრდებოდნენ. ზოგჯერ ხალხის მუჯაჰიდები თავიანთი ოჯახის წევრებსა და ნათესავებს იზიდავდნენ თავიანთი რიგების შესავსებად.

წევრების ახალი თაობის შემოდინებამ, რომლებზეც ორგანიზაციას პირდაპირი კონტოლი ჰქონდა, კიდევ უფრო გააძლიერა რაჯავის ერთპიროვნული მმართველობა. ბევრ მათგანს ბანაკის

---

[33] Ibid, 89.

[34] Abrahamian, Ervand. *Tortured Confessions: Prisons and Public Recantations in Modern Iran*. Berkeley, CA: Univ. of California Press, 1999.

[35] Abrahamian, *Radical Islam: The Iranian Mojahedin,* 251.

[36] *Ibid,* 252.

[37] *Ibid,* 252.

[38] *Ibid,* 253.

[39] Goulka et al, The Mujahedin-e Khalq in Iraq: A Policy Conundrum, 63.

დატოვებაც არ შეეძლო, ვინაიდან საბუთებით ჩამორთმეული ჰქონდათ. თუმცა კონტროლი მხოლოდ გადაადგილების შეზღუდვით არ შემოიფარგლებოდა. ოპერაცია „მარადიული სინათლის“ კრახის შემდეგ, რაჯავიმ მარცხი დააბრალა წევრების არასაკმარის ერთგულებას თავიანთ ოჯახური კავშირებისა და სქესობრივი სურვილების გამო.[40] ამიტომაც რაჯავიმ ორგანიზაციაში არსებული ოჯახები ფიზიკურად დააშორა, წყვილები განაქორწინა და წევრებს სქესობრივი კავშირები აუკრძალა (განქორწინება არ შეხებია თავად მასუდ და მარიამ რაჯავებს). წევრებს ასევე რეგულარულად ევალებოდათ თავიანთი ყოველდღიური სქესობრივი აზრების საჯაროდ მონანიება[41], რაც მათზე გონებრივი კონტროლის მორიგი მექანიზმი იყო.

ერთ-ერთი ის ფაქტი, რატომაც ხალხის მუჯაჰიდებს ზოგჯერ კულტად მოიხსენიებენ, მასუდ რაჯავის გაუჩინარებაცაა. რაჯავი 2003 წლის ერაყში ამერიკის ინტერვენციის დროს დაიკარგა და, სავარაუდოდ, დაიღუპა კიდეც.[42] თუმცა თავად ორგანიზაცია მის სიკვდილს არ აღიარებს.[43] გაუჩინარება ირანული შიიტური ისლამისთვის უცხო მოვლენა არაა. ჯაფარიტული (იმამიტური) შიიტური ისლამის მიხედვით ბოლო მე-12 იმამი მაჰდი გაუჩინარდა და სამყაროს აღსასრულის წინ დაბრუნდება. ხალხის მუჯაჰიდებისთვის რაჯავიც ცოცხალია და მისი სახელით დღემდე ქვეყნდება განცხადებები, ზოგჯერ აუდიოგანცხადებებიც კი, რომლებშიც იგი თითქოსდა თანამედროვე მოვლენებზე აკეთებს კომენტარს.[44]

ორგანიზაცია ბევრმა წევრმა დატოვა ერაყში ამერიკის ინტერვენციის შემდეგ, მაშინ როდესაც ხალხის მუჯაჰიდები აშშ-ის სამხედრო კონტროლის ქვეშ მოექცნენ, და განსაკუთრებით 2013-2016 წლებში ორგანიზაციის ალბანეთში გადაბარგების შედეგად. ხალხის მუჯაჰიდების ალბანური ბანაკიც საკმაოდ იზოლირებულია, თუმცა ზოგიერთმა წევრმა თავისუფალ ქვეყანაში გადასვლა გამოიყენა და ორგანიზაცია დატოვა.[45] მიუხედავად ამისა, ორგანიზაციიდან წასვლა იოლი საქმე არაა, რადგანაც ერთი მხრივ, ორგანიზაცია მათ მოღალატეებსა და ისლამური რესპუბლიკის აგენტებს უწოდებს, ხოლო მეორე მხრივ, ირანში დაბრუნების შემთხვევაში მათ თავისუფლებასა და სიცოცხლეს შეიძლება საფრთხე დაემუქროს.

შეიძლება ითქვას, რომ თითქმის 60-წლიან ისტორიაში ირანის ხალხის მუჯაჰიდების ორგანიზაციამ დრამატული ცვლილება განიცადა. ორგანიზაცია, რომელიც 1960-იან წლებში მებრძოლმა ინტელექტუალებმა დააარსეს, რომლებიც ისლამური და მარქსისტული იდეების შერწყმას ცდილობდნენ, დღეს კულტისმაგვარი ორგანიზაცია, რომელიც თავისი წევრების პირად ცხოვრებასაც ძალიან მკაცრად აკონტროლებს. ეს დრამატული ცვლილება კი მეტწილად იმითაცაა განპირობებული, რომ ორგანიზაციის წევრთა თავდაპირველი თაობა ჩაანაცვლეს ისეთმა წევრებმა, რომლებზეც ორგანიზაციას ბევრად ეფექტური კონტროლის მექანიზმები აქვს.

---

[40] *Ibid,* 68.

[41], Pressly, Linda and Kasapi, Albana. “The Iranian Opposition Fighters Who Mustn't Think about Sex.” BBC News. BBC, November 11, 2019. https://www.bbc.co.uk/news/stories-50339928.

[42] Masters, Jonathan. “Mujahadeen-e-Khalq (MEK).”

[43] Khodabandeh, Massoud. “Grand Controversy as Mek Can't Prove Leader Massoud Rajavi Is Dead or Alive.” HuffPost. HuffPost, June 27, 2017. https://www.huffpost.com/entry/grand-controversy-as-mek-cant-prove-leader-massoud_b_578679cae4b0cbf01e9f0334.

[44] განცხადებებს ორგანიზაცია თავის სპარსულენოვან ვებგვერდზე, მასუდ რაჯავის განცხადებების სექციაში აქვეყნებს: https://leader.mojahedin.org/c/%D9%85%D8%B3%D8%B9%D9%88%D8%AF-%D8%B1%D8%AC%D9%88%DB%8C.

[45] Pressly and Kasapi. “The Iranian Opposition Fighters Who Mustn't Think about Sex.”

ხალხის მუჯაჰიდების მოკავშირეები და გეოპოლიტიკური ვექტორი

ირანის ხალხის მუჯაჰიდების ორგანიზაციის იდეოლოგიის ცვლილებაზე მსჯელობისას ასევე აუცილებლად გასათვალისწინებელია მათი მოკავშირეები და თავად ორგანიზაციის გეოპოლიტიკური პოზიციები. ორგანიზაცია დაარსებისას წინააღმდეგობას უწევდა შაჰ მოჰამად რეზა ფეჰლევის, რომელსაც ახლო ურთიერთობები ჰქონდა აშშ-სთან და შაჰის დროინდელი ირანი აშშ-ის პარტნიორად ითვლებოდა. შაჰის ოპოზიციის დიდი ნაწილისთვის აშშ სწორედ შაჰის მფარველი სახელმწიფო იყო, ხოლო შაჰი - ვაშინგტონის ინტერესების გამტარებელი. ამ კუთხით გამოირჩეოდა ხალხის მუჯაჰიდების ორგანიზაციაც, რომლის ანტიიმპერიალისტურ იდეოლოგიაში აშშ-იც მტრად მიიჩნეოდა.

1970-იან წლებში ორგანიზაციამ შეიარაღებული თავდასხმებიც მოაწყო ამერიკულ სამხედრო და კომერციულ წარმომადგენლობებზე ირანში, რაც 1997 წელს აშშ-ის მიერ ორგანიზაციის ტერორისტული ჯგუფების სიაში შეყვანისას ერთ-ერთ მიზეზად იყო მოყვანილი.[46] საინტერესოა, რომ მას შემდეგ, რაც ორგანიზაციამ ამერიკის ერაყში ინტერვენციის შემდეგ ანტიამერიკანიზმისგან პირი იბრუნა, 1970-იანი წლების თავდასხმები ხალხის მუჯაჰიდების მარქსისტულ ფრთას გადააბრალა, რომელსაც მაშინ ორგანიზაცია ჰყავდა „მიტაცებული“.[47] ხალხის მუჯაჰიდებს მარქსისტული ფრთა, როგორც ზემოთ აღინიშნა, მართლაც გამოეყო, ხოლო 1970-იანი წლების თავდასხმებზე პასუხისმგებლობის მოშორება ჯგუფმა ტერორისტული ორგანიზაციების სიის დასატოვებლად წარმატებით გამოიყენა.

ვინაიდან 1979 წლის რევოლუცია ცივი ომის დროს მოხდა, როცა ბევრი პოლიტიკური აქტორი თუ მოვლენა ცივი ომის კონტექსტში განიხილებოდა. მიუხედავად იმისა, რომ ირანის რევოლუციამ ანტიამერიკული ხასიათი მიიღო, არც ირანის ახალ ხელისუფლებას და არც რევოლუციურ ჯგუფების უმეტესობას, მათ შორის ხალხის მუჯაჰიდებს, საბჭოთა კავშირთან ახლო ურთიერთობები არ აკავშირებდათ. თუმცა ერთი ინციდენტი მაინც აკავშირებს ამ ორგანიზაციას სსრკ-სთან, როდესაც 1979 წელს, რევოლუციის შემდეგ, ჯგუფის ერთ-ერთი ლიდერი მოჰამად რეზა საადათი ირანის სპეცსამსახურებმა საბჭოთა საელჩოს კაგებეს რეზიდენტთან შეხვედრისას დააკავეს. მას ათი წელი მიუსაჯეს, თუმცა 1981 წელს სიკვდილით დასაჯეს.[48] საადათი საბჭოთა საელჩოსთვის ცდილობდა გადაეცა დოკუმენტები იმის შესახებ, თუ როგორ დაიჭირა შაჰის საიდუმლო სამსახურმა, სავაქმა, ირანელი გენერალი რამდენიმე წლით ადრე, რომელიც საბჭოთა აგენტი იყო.[49] თუმცა საადათის საქმის გარდა, ძნელი სათქმელია, რომ ხალხის მუჯაჰიდებს საბჭოთა კავშირთან რამე აქტიური ურთიერთობა აკავშირებდათ.

მას შემდეგ, რაც ხალხის მუჯაჰიდების ორგანიზაციას 1981 წლიდან ირანიდან გახიზვნა და დევნილობიდან მოქმედებების გაგრძელება მოუწია, მათი გეოპოლიტიკური ვექტორი მათ ადგილმდებარეობასა და მოკავშირეებზე იყო დამყარებული. 1981 წელს მასუდ რაჯავი და გადაყენებული პრეზიდენტი, აბოლჰასან ბანისადრი, საფრანგეთში გადაბარგდნენ და რამდენიმე ოპოზიციურ ჯგუფთან ირანის ეროვნული წინააღმდეგობის საბჭო ჩამოაყალიბეს. ეს ფართო კოალიცია იმისკენაც იყო მიმართული, რომ დასავლეთში იგი ისლამური რესპუბლიკის ალტერნატივად ყოფილიყო აღქმული, თუმცა კოალიცია მალევე დაიშალა. ბევრი ჯგუფი საბჭოში ხალხის მუჯაჰიდების გადამეტებული ძალაუფლებით იყო უკმაყოფილო, თუმცა უკმაყოფილების დიდი მიზეზი მასუდ რაჯავის ერაყის პრემიერმინისტრ ტარიკ აზიზთან 1983 წლის შეხვედრაც

---

[46] Goulka et al, The Mujahedin-e Khalq in Iraq: A Policy Conundrum, 91.

[47] Masters, Jonathan. “Mujahadeen-e-Khalq (MEK).”

[48] Abrahamian. *Tortured Confessions: Prisons and Public Recantations in Modern Iran*, 129.

[49] ქელბაქიანი, ნიკო. “საბჭოთა-ირანული ურთიერთობები: თუდეს საქმე.” *ახლო აღმოსავლეთი და საქართველო XI*, 2018, 333–57.

იყო.[50] ერაყი ისლამური რესპუბლიკის მომხრეებსა და მოწინააღმდეგეებში ერთსულოვნად იყო აღქმული აგრესორად და, შესაბამისად, ხალხის მუჯაჰიდების შემდგომ სადამ ჰუსეინის ერაყთან შეკვრა მათი პოპულარობის შემცირების ერთ-ერთი მიზეზი აღმოჩნდა.

ხალხის მუჯაჰიდების ორგანიზაცია ერაყში 1986 წელს გადაბარგდა მას შემდეგ, რაც საფრანგეთის მაშინდელი პრემიერმინისტრის, ჟაკ შირაკის, მთავრობამ მათ ქვეყნიდან წასვლა აიძულა. ერთი ვერსიით, შირაკის ეს გადაწყვეტილება დაკავშირებული იყო საფრანგეთსა და ირანს შორის შეთანხმებასთან ლიბანში პროირანული ძალების მიერ დატყვევებული ფრანგი მძევლების განთავისუფლების შესახებ.[51] ერაყში დაბანაკების შედეგად, რაჯავის ორგანიზაციის მთავარი მოკავშირე სადამ ჰუსეინის ხელისუფლება აღმოჩნდა. კოენის თქმით[52], ხალხის მუჯაჰიდები მაინც ცდილობდნენ ჰუსეინისგან დამოუკიდებლობის ჩვენებას, რომლის მაგალითადაც ოპერაცია „მარადიული სინათლის“ განხორციელება მოჰყავს, რომელიც ერაყის მიერ ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმების გაფორმების შემდეგ დაიწყო.

რამდენადაც ხალხის მუჯაჰიდების ორგანიზაციამ თავისი ნაბიჯებით დანარჩენი ირანული ჯგუფებისაგან და საერთაშორისო პარტნიორებისგან თავი გაირიყა, სადამ ჰუსეინის ერაყიც მალევე აღმოჩნდა საერთაშორისო იზოლაციაში მას შემდეგ, რაც 1990 წელს ქუვეითს თავს დაესხა სპარსეთის ყურის ამ სახელმწიფოს მიერთების მიზნით და 1991 წელს საერთაშორისო კოალიციის ძალების მიერ დამარცხდა. შესაბამისად, ხალხის მუჯაჰიდების მასპინძელი და მთავარი მოკავშირე თავად აღმოჩნდა საერთაშორისო იზოლაციაში. ამასთანავე, ხალხის მუჯაჰიდების ორგანიზაცია სადამ ჰუსეინის ხელისუფლებას ერაყელი ქურთებისა და შიიტების აჯანყებების ჩახშობაშიც დაეხმარა ირან-ერაყის ომის დროს და ქუვეითის ომის შემდეგაც.[53] იმის გათვალისწინებით, რომ ჰუსეინის მთავრობა აჯანყებულებს სასტიკად გაუსწორდა და ერაყის ქურთისტანში ქიმიური იარაღიც გამოიყენა, ხალხის მუჯაჰიდების ერაყის ბაასისტურ მთავრობასთან კავშირი მათი მოწინააღმდეგეების კიდევ ერთ არგუმენტად იქცა. თუმცა თავად ორგანიზაცია ომის დანაშაულებში მონაწილეობასაც უარყოფს.[54]

თუმცა ერაყში დაფუძნება ჯგუფის სრულ იზოლაციას არ გულისხმობდა, ორგანიზაციას კვლავ ჰქონდა კავშირები და აქტივები დასავლურ ქვეყნებში. მარიამ რაჯავი საფრანგეთში იყო დაბანაკებული[55], ხოლო ხალხის მუჯაჰიდები ინარჩუნებდნენ მედიაორგანიზაციებსაც დასავლეთში და, როდესაც 1997 წელს აშშ-მა ჯგუფი ტერორისტულ ორგანიზაციად სცნო, აშშ-ის გამოძიების ფედერალურმა ბიურომ ორგანიზაციის ქსელი ამერიკაშიც აღმოაჩინა ისევე, როგორც მრავალმილიონიანი აქტივები მსოფლიოს ბანკებში.[56] აშშ-მა ირანის ეროვნული წინააღმდეგობის საბჭოც 2003 წელს ხალხის მუჯაჰიდების ნაწილად გამოაცხადა.[57] აშშ-ის ორგანიზაციის ტერორისტულად გამოცხადებას სხვა დასავლურმა ქვეყნებმაც მიბაძეს და 2002 წელს ევროკავშირმაც ხალხის მუჯაჰიდები ტერორისტულ ორგანიზაციად ცნო.[58]

2003 წლის აშშ-ის ერაყში ინტერვენციის შედეგად ხალხის მუჯაჰიდების ორგანიზაციისთვის სიტუაცია რადიკალურად შეიცვალა. გარდა იმისა, რომ მათი ლიდერი, მასუდ რაჯავი, ამ

---

[50] Abrahamian, *Radical Islam: The Iranian Mojahedin,* 248.

[51] Masters, Jonathan. "Mujahadeen-e-Khalq (MEK)."

[52] Cohen, Ronen A. "The Mojahedin-e Khalq versus the Islamic Republic of Iran: From War to Propaganda and the War on Propaganda and Diplomacy." *Middle Eastern Studies* 54, no. 6 (August 21, 2018): 1000–1014. https://doi.org/10.1080/00263206.2018.1478813.

[53] Masters, Jonathan. "Mujahadeen-e-Khalq (MEK)."

[54] Ibid.

[55] Ibid.

[56] Goulka et al, The Mujahedin-e Khalq in Iraq: A Policy Conundrum, 64.

[57] Ibid, 88.

[58] Ibid, 88.

პერიოდიდან ქრება, ხოლო მათი ძირითადი მასპინძელი, სადამ ჰუსეინი, ჩამოაგდეს და მისი რეჟიმი დაამხეს, ორგანიზაცია უცებ მტრულ გარემოშიც აღმოჩნდა. ერაყის ხელისუფლებაში მოსულ ძალებს, რომლებიც ხალხის მუჯაჰიდებს ჰუსეინის მათ წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულებში თანამონაწილეობას აბრალებდნენ, ამ ორგანიზაციის საკუთარ ქვეყანაში ხილვა აღარ სურდათ.[59] ორგანიზაცია გარკვეული თავისტკივილიც აღმოჩნდა აშშ-ისთვისაც, რომელსაც თავის მიერ ტერორისტულად გამოცხადებული ორგანიზაციის წევრები ამ დანარჩენი პოლიტიკური ჯგუფებისგან უნდა დაეცვა.

ამ პერიოდიდან იწყება ხანგრძლივი მოლაპარაკებები ორგანიზაციის ერაყიდან გადაყვანაზე აშშ-ის ჩართულობით, რომელთა პარალელურად ერაყისა და ირანის ხელისუფლებები ზეწოლას აძლიერებდნენ ჯგუფის ერაყიდან განსადევნად. ხალხის მუჯაჰიდების ორგანიზაცია ევროკავშირმა ამოიღო ტერორისტული ჯგუფების სიიდან 2009 წელს, ხოლო აშშ-მა - 2012 წელს.[60] საბოლოოდ, შეთანხმება შედგა ალბანეთის მთავრობასთან, რომ ორგანიზაციის წევრები ქვეყანაში მიეღოთ. ჯგუფის გადაბარგება 2013-2016 წლებში მიმდინარეობდა და დღეს დაახლოებით 3,000 ხალხის მუჯაჰიდი ალბანეთის დედაქალაქ ტირანასთან ახლოს ცხოვრობს ბანაკში სახელად "აშრაფ 3".[61] ალბანეთის ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრის, დიტმირ ბუშატის, თქმით, ალბანეთმა ორგანიზაცია იმიტომ მიიღო, რომ შემდეგ ეს ნაბიჯი ვაშინგტონთან ურთიერთობებში წაადგებოდათ.[62]

ალბანეთში გადაბარგების გარდა, ხალხის მუჯაჰიდების ორგანიზაცია ცდილობდა, რომ გამიჯნოდა თავისი წარსულის ისეთ მომენტებს, რომლებიც მათ დასავლელ პოლიტიკოსებთან ურთიერთობაში პრობლემებს შეუქმნიდა. ხალხის მუჯაჰიდებმა 1970-იან წლებში ირანში ამერიკულ სამხედრო და კომერციულ წარმომადგენლობებზე თავდასხმები ორგანიზაციის მარქსისტულ ფრთას გადააბრალეს, რომელთაც "მიტაცებული" ჰქონდათ ჯგუფის ხელმძღვანელობა. ორგანიზაცია ასევე უარყოფს მონაწილეობას სადამ ჰუსეინის რეჟიმის მიერ ჩადენილ ომის დანაშაულებში ქურთებისა და შიიტების წინააღმდეგ.

ხალხის მუჯაჰიდების ორგანიზაციამ 1980-იან წლებში ქალთა როლის წინ წამოწევაც აქტიურად დაიწყო. მარიამ რაჯავი მასუდ რაჯავისთან ქორწინების შემდეგ არათუ ორგანიზაციის თანახელმძღვანელი გახდა, 1993 წელს ირანის ეროვნულმა წინააღმდეგობის საბჭომ, რომელიც ამ დროისთვის ხალხის მუჯაჰიდების პოლიტიკური ფრთა იყო, იგი ირანი "არჩეულ პრეზიდენტადაც" დაასახელა. 1993 წელს ორგანიზაციამ 24-კაციანი ლიდერობის საბჭოც დაასახელა, რომლის ყველა წევრიც ქალი იყო.[63] თუმცა ორგანიზაციის პრეტენზიები ფემინიზმსა და გენდერულ თანასწორობაზე ეჭვქვეშ დგება იმის გათვალისწინებით, რომ მათ საკუთარ ბანაკებში გენდერული სეგრეგაცია ჰქონდათ, ხოლო წევრების პირად ცხოვრებაზე - სრული კონტროლი.

ამასთანავე, ორგანიზაცია ყოველწლიურად აწყობს კონფერენციას "თავისუფალი ირანი", რომელიც ხალხის მუჯაჰიდების ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული პოლიტიკური პლატფორმაა. კონფერენციას ესწრებიან და სიტყვით გამოდიან ამერიკელი და ევროპელი პოლიტიკოსები და მოქმედი თუ ყოფილი ოფიციალური პირები, რომლებიც ირანის ისლამური რესპუბლიკის

---

[59] Ibid, 13.

[60] Masters, Jonathan. “Mujahadeen-e-Khalq (MEK).”

[61] Karcic, Harun. “How Albania Ended up in Iran's Cyber Crosshairs.” Foreign Policy, November 8, 2022. https://foreignpolicy.com/2022/11/08/albania-iran-cyberattack-mek-us-israel/.

[62] Kingsley, Patrick. “Highly Secretive Iranian Rebels Are Holed up in Albania. They Gave Us a Tour.” The New York Times. The New York Times, February 16, 2020. https://www.nytimes.com/2020/02/16/world/europe/iran-mek-albania.html.

[63] “Milestone: Women Leading the Way for a Free Iran.” NCRI Women Committee, November 11, 2018. https://women.ncr-iran.org/2016/08/06/milestone-women-leading-way-free-iran/.

წინააღმდეგ არიან განწყობილი.[64] გარდა დასავლელი პოლიტიკოსებისა, "თავისუფალი ირანის" კონფერენციებს საუდის არაბეთის ხელისუფლების წარმომადგენლებიც ესწრებიან. ორგანიზაციამ განსაკუთრებული მოკავშირეები მოიპოვა ამერიკელ „ქორ“ პოლიტიკოსებში, რაც გაძლიერდა დონალდ ტრამპის ადმინისტრაციის (2017-2021) დროს, რომელიც ირანის წინააღმდეგ "მაქსიმალური ზეწოლის პოლიტიკას" ატარებდა. "თავისუფალი ირანის" კონფერენციას დასწრებიან რუდი ჯულიანი, ტრამპის ადვოკატი და ნიუ-იორკის ყოფილი მერი, და ჯონ ბოლტონი, ტრამპის ეროვნული უსაფრთხოების მრჩეველი.[65] ბოლტონმა 2017 წელს პარიზში ჩატარებულ "თავისუფალი ირანის" კონფერენციაზე ხალხის მუჯაჰიდებს "აიათოლების რეჟიმის მოწინააღმდეგე სიცოცხლისუნარიანი ოპოზიცია" უწოდა და დაამატა, რომ "ჩვენ თეირანში ვიზეიმებთ 2019 წლისთვის", ანუ ისლამური რესპუბლიკა თავის 40 წლის იუბილეს ვერ მიაღწევდა.[66]

მიუხედავად იმისა, რომ ხალხის მუჯაჰიდების ორგანიზაცია ირანში დიდი პოპულარობით არ სარგებლობს, მათ მოახერხეს თავიანთი საერთაშორისო მოკავშირეთა რაოდენობის გაზრდა, რაც გეოპოლიტიკური ცვლილებებითაც შეიძლება აიხსნას. ახლო აღმოსავლეთის რეგიონში ირანის ისლამური რესპუბლიკის როლი და გავლენა საგრძნობლად გაიზარდა, განსაკუთრებით კი 2003 წელს აშშ-ის მიერ ერაყში სადამ ჰუსეინის რეჟიმის დამხობის შემდეგ. ირანის გაზრდილმა გავლენამ შეაშფოთა არა მხოლოდ აშშ, მისი დასავლელი მოკავშირეები და ისრაელი, არამედ საუდის არაბეთიც, რომელიც ასევე რეგიონში მნიშვნელოვან აქტორად ჩამოყალიბდა.

ირანის გაზრდილმა გავლენამ ისლამური რესპუბლიკის მოწინააღმდეგეების აქამდე ძნელად წარმოსადგენი კოალიციაც შეკრა, ხოლო ხალხის მუჯაჰიდების ორგანიზაციამ მოახერხა ირანის წინააღმდეგ ხისტი პოლიტიკის მომხრე პოლიტიკურ ჯგუფებში თავისი ადგილი დაემკვიდრებინა. ორგანიზაცია ასევე საგრძნობი ფინანსური რესურსები აქვს და ზოგიერთი მონაცემებით, თავის კონფერენციებზე მოწვეულ სტუმრებს დიდ თანხებსაც უხდის.[67]

შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ ორგანიზაციამ რელევანტობა შეინარჩუნა სწორედ ამ გეოპოლიტიკური ცვლილებების დროს საერთაშორისო მოკავშირეების მოპოვებით, ხოლო ამ მოკავშირეებისთვის მნიშვნელოვანი აღმოჩნდა ხალხის მუჯაჰიდების ერთი უცვლელი მახასიათებელი, ბრძოლა ისლამური რესპუბლიკის დამხობისთვის.

ბრძოლა ისლამური რესპუბლიკის წინააღმდეგ: ირანიდან, საფრანგეთიდან, ერაყიდან და ალბანეთიდან

ირანის ხალხის მუჯაჰიდების ორგანიზაციის ძირითად მახასიათებლად სწორედ მისი შეურიგებელი ბრძოლაა ისლამური რესპუბლიკის დასამხობად. თუმცა მისი ხერხები შეიცვალა დროთა განმავლობაში. როდესაც 1981 წელს ხალხის მუჯაჰიდებმა ბანისადრის იმპიჩმენტის შემდეგ ისლამურ რესპუბლიკის წინააღმდეგ აჯანყება გამოაცხადეს, ისინი სწორედ ხალხის ამბოხების იმედით მოქმედებდნენ. ერაყში გადასვლის შემდეგ ისინი სამხედრო ძალაზე ამყარებდნენ იმედებს, რომელსაც ასევე შიდა აჯანყება უნდა მოჰყოლოდა, მაგრამ სადამ ჰუსეინთან კავშირის გამო ირანში მხარდაჭერა დაკარგული ჰქონდათ. დღეს უკვე ორგანიზაცია განცხადებულად არაძალადობრივ მეთოდებს და ირანში დემოკრატიულ მმართველობას უჭერს მხარს, ხოლო ამავდროულად ძირითადი სტრატეგია ისლამურ რესპუბლიკაზე საგარეო ზეწოლის გაძლიერებას უკავშირდება.

---

[64] Merat, Arron. “Terrorists, Cultists – or Champions of Iranian Democracy? The Wild Wild Story of the Mek.” The Guardian. Guardian News and Media, November 9, 2018. https://www.theguardian.com/news/2018/nov/09/mek-iran-revolution-regime-trump-rajavi.

[65] Ibid.

[66] Tabrizy, Nilo. “M.E.K.: The Group John Bolton Wants to Rule Iran.” The New York Times. The New York Times, May 7, 2018. https://www.nytimes.com/2018/05/07/world/middleeast/john-bolton-regime-change-iran.html.

[67] Merat, Arron. “Terrorists, Cultists – or Champions of Iranian Democracy? The Wild Wild Story of the Mek.”

1979 წლის რევოლუციიდან 1981 წლის აჯანყებამდე ხალხის მუჯაჰიდები ცდილობდნენ თავი დაემკვიდრებინათ ისლამურ რესპუბლიკაში. მათ მხარი დაუჭირეს აშშ-ის საელჩოს აღებას და ამერიკელი დიპლომატების მძევლად აყვანას 1979 წლის ნოემბერში[68], მიიღეს მონაწილეობა 1980 წლის საპარლამენტო არჩევნებში და აიათოლა ხომეინის "იმამად" და "ჩვენს დიდ მამადაც" მოიხსენიებდნენ და მხოლოდ მისი გარემოცვის კრიტიკით შემოიფარგლებოდნენ.[69] ხალხის მუჯაჰიდები ხომეინის 1981 წელს დაუპირისპირდნენ უკვე პირადადაც და წლის დასაწყისში მას უკვე უბრალოდ აიათოლას ტიტულით მოიხსენიებდნენ.[70]

რაც მთავარია, ამ პერიოდში მათ მოახერხეს, შეიძლება ითქვას, ასობით ათასი მხარდამჭერის მოპოვება. მათ დემონსტრაციებზე 1981 წელს უამრავი ადამიანი ესწრებოდა, ხოლო ბანისადრის იმპიჩმენტის შემდეგ 20 ივნისის გამოცხადებულ აქციაზე, აბრაჰამიანის თქმით, ნახევარი მილიონი ადამიანი გამოვიდა.[71] 1981 წლის ივნისში გამოცხადებული ამბოხი ირანში მცირემასშტაბიანი სამოქალაქო ომის გამომწვევი აღმოჩნდა, რომელშიც ისლამურმა რესპუბლიკამ იმარჯვა ოპოზიციური ჯგუფების ათასობით წევრი დაიღუპა ქუჩის ბრძოლებში ან სიკვდილით დასაჯეს წლის ბოლომდე.[72] ამ დაპირისპირებას ხელისუფლების წარმომადგენლებიც შეეწირნენ: 28 ივნისს მმართველი ისლამური რესპუბლიკური პარტიის ოფისი ააფეთქეს, რომელსაც 70-ზე მეტი ადამიანი შეეწირა, მათ შორის, უზენაესი მოსამართლე და ხომეინის შემდეგ მეორე პირი - აიათოლა ბეჰეშთი[73], ხოლო ბანისადრის შემდეგ არჩეულმა პრეზიდენტმა მოჰამად ალი რაჯაიმ თანამდებობაზე ერთი თვეც ვერ გასტანა, რადგან პრემიერმინისტრ მოჰამად ჯავად ბაჰონართან ერთად აგვისტოს ბოლოს ააფეთქეს.[74] ეს ორივე თავდასხმა ხელისუფლებამ ხალხის მუჯაჰიდებს დააბრალა.

ხალხის მუჯაჰიდები პარტიზანულ ბრძოლებს განაგრძობდნენ, როდესაც ჯგუფის ხელმძღვანელობამ საფრანგეთში გადაინაცვლა და ფართო ოპოზიციური კოალიცია შეკრიბა. თუმცა, როგორც ზემოთ აღინიშნა, კოალიციამ დიდხანს ვერ გასტანა. ორგანიზაცია ამ პერიოდიდან უფრო და უფრო იზოლირდებოდა დანარჩენი ირანული ოპოზიციისგან, რაც კიდევ უფრო გაძლიერდა ჯგუფის ერაყში გადასვლით. ამ ნაბიჯმაც გამოამჟღავნა ჯგუფის რადიკალიზმი და ის, რომ ხალხის მუჯაჰიდები ისლამური რესპუბლიკის წინააღმდეგ ბრძოლაში სადამ ჰუსეინის რეჟიმთან შეკვრაზეც თანახმა იყვნენ. ასეთივე რადიკალური ნაბიჯი იყო მათი 1988 წლის წარუმატებელი ოპერაცია "მარადიული სინათლე".

1990-იანი წლებიდან ხალხის მუჯაჰიდების სტრატეგია ისლამური რესპუბლიკის წინააღმდეგ ძირითადად საგარეო ზეწოლას ემყარება, ხოლო ქვეყნის შიგნით გავლენა მეტწილად შეზღუდულია. თუმცა ორგანიზაცია მაინც ახერხებდა კონკრეტული მიზნების შესრულებას. ერთ-ერთი გახმაურებული ოპერაცია გენერალ ალი საიად შირაზის მკვლელობაა, რომელიც 1999 წელს თეირანში საკუთარი სახლის წინ მოკლეს.[75] საიად შირაზი ხელმძღვანელობდა ოპერაცია "მერსადს", რომელიც ისლამური რესპუბლიკის სამხედრო ოპერაციას ერქვა ოპერაცია "მარადიული სინათლის" საწინააღმდეგოდ.

საგარეო ზეწოლისა და შიდა დაზვერვის კარგი მაგალითია ასევე ხალხის მუჯაჰიდების ალბათ ყველაზე წარმატებული აქტი, როდესაც 2002 წელს ირანის ბირთვული პროგრამის საიდუმლო

---

[68] Abrahamian, *Radical Islam: The Iranian Mojahedin,* 196.

[69] Ibid, 199.

[70] Ibid, 210.

[71] Ibid, 218.

[72] Abrahamian. *Tortured Confessions: Prisons and Public Recantations in Modern Iran*, 129.

[73] Abrahamian, *Radical Islam: The Iranian Mojahedin*, 220.

[74] Samii, Bill. "Analysis: Iranian Mujahedin Face Uncertain Future." RadioFreeEurope/RadioLiberty. Radio Free Europe / Radio Liberty, April 8, 2008. https://www.rferl.org/a/1055060.html.

[75] Billingsley, Andrew. "Part 1: History of Terrorism against Iran." The Iran Primer, March 4, 2019. https://iranprimer.usip.org/blog/2018/nov/07/part-1-history-terrorism-against-iran.

ასპექტები გაამჟღავნეს. ირანის ეროვნული წინააღდეგობის საბჭოს ამერიკის წარმომადგენლობის 2002 წელს ჩატარებულმა პრესკონფერენციამ[76] დიდი გავლენა მოახდინა ირანის ბირთვული პროგრამის საკითხის წამოწევაში, რომელიც შემდეგ ირანის წინააღმდეგ გაეროს სანქციებითაც დაგვირგვინდა. ხალხის მუჯაჰიდების ორგანიზაცია ამ მხილებისთვის შეაქო აშშ-ის პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა უმცროსმა, რომლის ადმინისტრაციის დროს (2001-2009) ორგანიზაცია ჯერაც ტერორისტების სიაში იყო.[77]

ბოლო წლებში ორგანიზაცია აქტიურად იყენებს სოციალურ მედიას და ონლაინკამპანიებს და ცდილობს საკუთარი მესიჯები სოციალური მედიის ხრიკებით გაამლიეროს, მათ შორის, ინტერნეტტროლების საშუალებითაც.[78] ორგანიზაციას აქვს ტრადიციული მედიებიც: ტელევიზია, რადიო და ონლაინგამოცემებიც. ჯგუფი მიმართავს კიბერშეტევებსაც, რომლის მაგალითიცაა 2022 წლის იანვარში ირანის სახელმწიფო ტელევიზიის "დაჰაკვა", როდესაც ირანულ სახელმწიფო არხებზე რამდენიმე წამით გამოჩნდა სლოგანები "გაუმარჯოს რაჯავის" და "სიკვდილი ხამენეის".[79]

აღსანიშნავია, რომ თავად ისლამური რესპუბლიკაც ეხმარება ხალხის მუჯაჰიდებს დარჩნენ დღის წესრიგში იმით, რომ ისინი ერთ-ერთ უმთავრეს მტრად ჰყავთ გამოცხადებული და ხშირად მტრის ხატად იყენებენ ზოგიერთი ჯგუფის თუ პირის დისკრედიტაციისთვის, როდესაც მათ ხალხის მუჯაჰიდებთან კავშირს აბრალებენ. ისლამური რესპუბლიკის ლექსიკონში ორგანიზაციის წევრებს მოიხსენიებენ არა როგორც მუჯაჰიდებს (მოჯაჰედინ), არამედ „ორპირები, ფარისევლები“ (მონაფეყინ), ისლამურ ტერმინს, რომელიც მიემართებოდა ისეთ ხალხს, რომლებიც გარეგნულად თავს მუსლიმად აჩვენებენ, მაგრამ რეალურად ისლამის მტრები არიან.[80]

1980-იან წლებში ისლამურმა რესპუბლიკამ ბევრი ხალხის მუჯაჰიდი "მოჰარებეს", ღვთის წინააღმდეგ ბრძოლის, ბრალდებით დასაჯა სიკვდილით. ციხეში მყოფი ხალხის მუჯაჰიდების დიდი ნაწილი ვერ გადაურჩა ვერც 1988 წლის სიკვდილით დასჯის კამპანიას, რომელსაც ათასობით პოლიტპატიმარი შეეწირა, მათ შორის ზოგიერთს სასჯელიც მოხდილი ჰქონდა და განთავისუფლებას ელოდა.[81] ისლამური რესპუბლიკა დღემდე აკავებს პირებს ხალხის მუჯაჰიდებთან კავშირის გამო. ერთ-ერთი გახმაურებული საქმეა პრესტიჟული შარიფის ტექნოლოგიური უნივერსიტეტის ორი სტუდენტის, ალი იუნესისა და ამირჰოსეინ მორადის, საქმე, რომლებიც 2020 წლიდან ამ ბრალდებით არიან დაკავებული.[82]

ირანის ხელისუფლებას ასევე ბრალდება თავდასხმები ხალხის მუჯაჰიდების ორგანიზაციაზე საზღვარგარეთაც. 1990-იანი წლების დასაწყისში ევროპის ქვეყნებში რამდენიმე პოლიტიკური მკვლელობა მოხდა, რომლებსაც ირანელი დევნილი ოპოზიციური ფიგურები ემსხვერპლნენ. მათ შორის იყო 1990 წელს მასუდ რაჯავის ძმის, ქაზემ რაჯავის, მკვლელობა 1990 წელს შვეიცარიის ქალაქ ჟენევაში.[83]

ისლამურ რესპუბლიკის ქმედებებმა ხალხის მუჯაჰიდების წინააღმდეგ ბოლო წლებშიც გამოიწვია დიპლომატიური სკანდალები. 2018 წელს გერმანიაში დააკავეს ავსტრიაში მომუშავე ირანელი დიპლომატი ასადოლაჰ ასადი, რომელსაც ბრალი ედებოდა თანამონაწილეობა

---

[76] "Iran and Nuclear Weapons." C-Span Network website, August 14, 2002. https://www.c-span.org/video/?172005-1%2Firan-nuclear-weapons.

[77] Goulka et al, The Mujahedin-e Khalq in Iraq: A Policy Conundrum, 65.

[78] Kingsley, Patrick. "Highly Secretive Iranian Rebels Are Holed up in Albania. They Gave Us a Tour."

[79] "State TV Hacked by Iranian Opposition." IranWire, January 27, 2022. https://iranwire.com/en/technology/71199/.

[80] Abrahamian. *Tortured Confessions: Prisons and Public Recantations in Modern Iran*, 147.

[81] *Ibid*.

[82] "University Student at Risk of Torture." Amnesty International. Accessed December 18, 2022. https://www.amnesty.org.uk/urgent-actions/university-student-risk-torture.

[83] Hanna, Andrew, and Garrett Nada. "Timeline: Iran's Assassinations and Plots." The Iran Primer, August 18, 2022. https://iranprimer.usip.org/blog/2020/sep/16/timeline-iran-assassinations-and-plot.

„თავისუფალი ირანის“ კონფერენციაზე პარიზში ბომბის აფეთქების მცდელობაში. ამას თავად ასადი და ოფიციალური თეირანიც უარყოფდნენ, თუმცა ბელგიის სასამართლომ მას 20 წელი მიუსაჯა 2021 წელს ტერორიზმისა და მკვლელობის მცდელობისთვის.[84] კიდევ ერთი დიპლომატიური სკანდალი მოხდა 2022 წელს, როდესაც ალბანეთმა ირანთან დიპლომატიური ურთიერთობები გაწყვიტა მას შემდეგ, რაც თეირანს ალბანურ სახელმწიფო ელექტრონულ სისტემაზე კიბერშეტევა დააბრალა. ირანი ამ ბრალდებასაც უარყოფს.[85]

ამ და სხვა მოვლენებით და თავისი საერთაშორისო გავლენებით ირანის ხალხის მუჯაჰიდების ორგანიზაცია ახერხებს დარჩეს ყურადღების ცენტრში და პოლიტიკური დღის წესრიგში. საინტერესოა, რომ მიუხედავად შეურიგებელი დაპირისპირებისა ორივე მხარე, ისლამური რესპუბლიკაც და ხალხის მუჯაჰიდებიც, კარგად იყენებენ ერთმანეთს თავიანთი ინტერესებისთვის. ირანის ისლამური რესპუბლიკისთვის ასეთი რადიკალური და წინააღმდეგობრივი ორგანიზაცია გამოსადეგია სხვა პოლიტიკური მოძრაობების დისკრედიტაციისთვის, ხოლო ირანის ხალხის მუჯაჰიდების ორგანიზაცია, რომლის მთავარი იდენტობად რეჟიმთან ბრძოლაა ქცეული, ირანის ისლამური რესპუბლიკის რადიკალიზმს და საერთაშორისო იმიჯს იყენებს რელევანტობის შესანარჩუნებლად.

დამოწმებული ლიტერატურა - References:

1. Abrahamian, Ervand. *Iran between Two Revolutions*. Princeton University Press, 1982.
2. Abrahamian, Ervand. *Radical Islam: The Iranian Mojahedin*. London: Tauris, 1989.
3. Abrahamian, Ervand. *Tortured Confessions: Prisons and Public Recantations in Modern Iran*. Berkeley, CA: Univ. of California Press, 1999.
4. Billingsley, Andrew. “Part 1: History of Terrorism against Iran.” The Iran Primer, March 4, 2019. https://iranprimer.usip.org/blog/2018/nov/07/part-1-history-terrorism-against-iran. წვდომა: 18 დეკემბერი, 2022.
5. Boroujerdi, Mehrzad. *Postrevolutionary Iran a Political Handbook*. Syracuse, NY: Syracuse University Press, 2018.
6. Cohen, Ronen A. “The Mojahedin-e Khalq versus the Islamic Republic of Iran: From War to Propaganda and the War on Propaganda and Diplomacy.” *Middle Eastern Studies* 54, no. 6 (August 21, 2018): 1000–1014. https://doi.org/10.1080/00263206.2018.1478813.
7. “France Bomb Plot: Iran Diplomat Assadollah Assadi Sentenced to 20 Years.” BBC News. BBC, February 4, 2021. https://www.bbc.co.uk/news/world-europe-55931633. წვდომა: 18 დეკემბერი, 2022.
8. Goulka, Jeremiah, Lydia Hansell, Elizabeth Wilke, and Judith Larson, The Mujahedin-e Khalq in Iraq: A Policy Conundrum. Santa Monica, CA: RAND Corporation, 2009. https://www.rand.org/pubs/monographs/MG871.html. წვდომა: 18 დეკემბერი, 2022.
9. Hanna, Andrew, and Garrett Nada. “Timeline: Iran's Assassinations and Plots.” The Iran Primer, August 18, 2022. https://iranprimer.usip.org/blog/2020/sep/16/timeline-iran-assassinations-and-plot. წვდომა: 18 დეკემბერი, 2022.

[84] “France Bomb Plot: Iran Diplomat Assadollah Assadi Sentenced to 20 Years.” BBC News. BBC, February 4, 2021. https://www.bbc.co.uk/news/world-europe-55931633.

[85] Karcic, Harun. “How Albania Ended up in Iran's Cyber Crosshairs.”

10. “Iran and Nuclear Weapons.” C-Span Network website, August 14, 2002. https://www.c-span.org/video/?172005-1%2Firan-nuclear-weapons. წვდომა: 18 დეკემბერი, 2022.
11. Karcic, Harun. “How Albania Ended up in Iran's Cyber Crosshairs.” Foreign Policy, November 8, 2022. https://foreignpolicy.com/2022/11/08/albania-iran-cyberattack-mek-us-israel/. წვდომა: 18 დეკემბერი, 2022.
12. Khodabandeh, Massoud. “Grand Controversy as Mek Can't Prove Leader Massoud Rajavi Is Dead or Alive.” HuffPost. HuffPost, June 27, 2017. https://www.huffpost.com/entry/grand-controversy-as-mek-cant-prove-leader-massoud_b_578679cae4b0cbf01e9f0334. წვდომა: 18 დეკემბერი, 2022.
13. Kingsley, Patrick. “Highly Secretive Iranian Rebels Are Holed up in Albania. They Gave Us a Tour.” The New York Times. The New York Times, February 16, 2020. https://www.nytimes.com/2020/02/16/world/europe/iran-mek-albania.html. წვდომა: 18 დეკემბერი, 2022.
14. Masters, Jonathan. “Mujahadeen-e-Khalq (MEK).” Council on Foreign Relations. Council on Foreign Relations, July 28, 2014. https://www.cfr.org/backgrounder/mujahadeen-e-khalq-mek. წვდომა: 18 დეკემბერი, 2022.
15. Merat, Arron. “Terrorists, Cultists – or Champions of Iranian Democracy? The Wild Wild Story of the Mek.” The Guardian. Guardian News and Media, November 9, 2018. https://www.theguardian.com/news/2018/nov/09/mek-iran-revolution-regime-trump-rajavi. წვდომა: 18 დეკემბერი, 2022.
16. “Milestone: Women Leading the Way for a Free Iran.” NCRI Women Committee, November 11, 2018. https://women.ncr-iran.org/2016/08/06/milestone-women-leading-way-free-iran/. წვდომა: 18 დეკემბერი, 2022.
17. Pressly, Linda and Kasapi, Albana. “The Iranian Opposition Fighters Who Mustn't Think about Sex.” BBC News. BBC, November 11, 2019. https://www.bbc.co.uk/news/stories-50339928. წვდომა: 18 დეკემბერი, 2022.
18. Samii, Bill. “Analysis: Iranian Mujahedin Face Uncertain Future.” RadioFreeEurope/RadioLiberty. Radio Free Europe / Radio Liberty, April 8, 2008. https://www.rferl.org/a/1055060.html. წვდომა: 18 დეკემბერი, 2022.
19. “State TV Hacked by Iranian Opposition.” IranWire, January 27, 2022. https://iranwire.com/en/technology/71199/. წვდომა: 18 დეკემბერი, 2022.
20. Tabrizy, Nilo. “M.E.K.: The Group John Bolton Wants to Rule Iran.” The New York Times. The New York Times, May 7, 2018. https://www.nytimes.com/2018/05/07/world/middleeast/john-bolton-regime-change-iran.html. წვდომა: 18 დეკემბერი, 2022.
21. “University Student at Risk of Torture.” Amnesty International. Accessed December 18, 2022. https://www.amnesty.org.uk/urgent-actions/university-student-risk-torture. წვდომა: 18 დეკემბერი, 2022.
22. ირანის ხალხის მუჯაჰიდების ორგანიზაციის სპარსულენოვანი ვებგვერდი. https://mojahedin.org/. წვდომა: 18 დეკემბერი, 2022.
23. სანიკიძე, გიორგი, ალასანია, გიული, და გელოვანი, ნანი. *ახლო აღმოსავლეთის ისტორია და მისი ურთიერთობების სამხრეთ კავკასიასთან (XIX ს. – XXI ს.-ის დასაწყისი).* ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2011.
24. ქელბაქიანი, ნიკო. “საბჭოთა-ირანული ურთიერთობები: თუდეს საქმე.” *ახლო აღმოსავლეთი და საქართველო XI*, 2018, 333–57.